სანოტარო აქტი

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ბაგები, წყნეთის გზატკეცილი №37"-ს
სადამფუძნებლო ხელშეკრულება

2007 წლის
17 იანვარი

რეესტრში რეგისტრაციის № 1-607

ნოტარიუსი ნარგიზ მინდიაშვილი
ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №29
ტ. 95 78 07

ქ. თბილისი
2007წ.

ხელშეკრულება

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ბაგები", წყნეთის გზატკეცილი №37"-ის დაფუძნების შესახებ

ჩვენ, კახაბერ ლაბაძე, თენგიზ ლაბაძე, ლევან ჯმუხაძე და ზურაბ ჯაიანი ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ამხანაგობის შექმნის შესახებ.

1. ამხანაგობის მიზანი, სამართლებრივი სტატუსი, სახელწოდება

1.1. ამხანაგობის მიზანია: ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი № 37-ში მდებარე 2386 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი, მაღლივი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ შენობის, როგორც ამხანაგობის წევრთა წილობრივი თანასაკუთრების მფლობელობის სარგებლობა და განკარგვა (შემდგომში მოიხსენიება, როგორც „პროექტი").

1.2. შენობის მშენებლობა მოიცავს, შენობის სრული კარკასის აღმართვას, გადახურვას, ყველა აუცილებელი კომუნიკაციების მიერთებას, შენობის გარესახედის თანამედროვე სტანდარტებით მოპირკეთებას, საერთო სარგებლობის ფართებისა (კიბის უჯრედები და სხვ.) და ეზოს მოპირკეთებას.

1.3. დასახული მიზნის, კერძოდ „პროექტის" განსახორციელებლად მხარეები ქმნიან წინამდებარე ერთობლივ საქმიანობას (ამხანაგობას), იურიდიული პირის შეუქმნელად, რომელიც არსებობს, ფუნქციონირებს და მოქმედებს ამ ხელშეკრულების დებულებებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. ამხანაგობის წევრების მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ამ სადამფუძნებლო ხელშეკრულებით, შესრულებული იქნება ამხანაგობის მიერ ინდივიდუალურ ხელშეკრულების საფუძველზე.

1.4 მესამე პირებთან ურთიერთობის გამარტივებისა და იდენტიფიკაციის მიზნისათვის, ამ ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ საქმიანობას, ამხანაგობას ეწოდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ბაგები წყნეთის გზატკეცილი №37" (შემდგომში მოიხსენიება, როგორც „ამხანაგობა").

1.5. „ამხანაგობის" მართვის ორგანოს ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი ბაგები წყნეთის გზატკეცილი №37.

2. შენატანები „ამხანაგობაში".

2.1. „ამხანაგობაში" გაწევრიანების მიზნისათვის და „პროექტის" განსახორციელებლად, ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა განახორციელეს შენატანები ამხანაგობაში, როგორც ფულადი, ასევე ქონებრივი (არაფულადი) სახით. აღნიშნული შენატანები წარმოადგენს

ამხანაგობის საკუთრებას და უნდა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ „ამხანაგობის" საერთო მიზნის განხორციელებას.

2.2. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების: კახაბერ ლაბაძის, თენგიზ ლაბაძის, ლევან ჯმუხაძისა და ზურაბ ჯაიანის შენატანი „ამხანაგობაში", წარმოადგენს უკვე გაწეული ფინანსური და შრომითი დანახარჯები, რაც ჩაითვლება „ამხანაგობაში" მთლიან შენატანად „ამხანაგობაში" გაწევრიანების მიზნისათვის და „პროექტის" დამატებით შენატანებს ამხანაგობაში, როგორც ფულადი, ასევე ქონებრივი (არაფულადი) სახით. აღნიშნული შენატანები წარმოადგენს „ამხანაგობის" წევრთა საერთო წილობრივ საკუთრებას და უნდა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ „ამხანაგობის" საერთო მიზნის განხორციელებას. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების განცხადებით ხარჯების ღირებულება შეადგენს 1700 000 /მილიონ შვიდასი ათას/ ლარს.

2.3. სხვა წევრებმა შენატანი უნდა განახორციელონ ფულადი და/ან არაფულადი შენატანების სახით, რომლის ოდენობაც და სახეობაც განისაზღვრება „ამხანაგობის" მიერ, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და პირობებით.

2.4. შენატანები „ამხანაგობაში" წარმოადგენს „ამხანაგობის" წევრთა საერთო წილობრივ საკუთრებას, რომელშიც თითოეული წევრის წილი განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით.

3. „ამხანაგობის" მმართველი ორგანოები

3.1 სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის თვალსაზრისით, „ამხანაგობის" წევრები იყოფიან ორ ჯგუფად: „დამფუძნებელი წევრები" და „ჩვეულებრივი წევრები".

3.2. „ჩვეულებრივი წევრები" იქნებიან ის პირები, რომლებიც „ამხანაგობის" წევრები გახდებიან შემდგომში, „დამფუძნებელ წევრთა" გადაწყვეტილების შესაბამისად.

3.3. „ახანაგობის" მართვის ორგანოა ამხანაგობის თავმჯდომარე.

4. „დამფუძნებელ წევრთა" კრება

4.1. „დამფუძნებელ წევრთა" კრება არის „ამხანაგობის" მმართველობის უმაღლესი ორგანო;

4.2. „დამფუძნებელ წევრთა" კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ, „ამხანაგობის" თავმჯდომარის ან რომელიმე „დამფუძნებელი წევრის" მოთხოვნით.

4.3. „დამფუძნებელ წევრთა" კრებაზე ნებისმიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმების უბრალო უმრავლესობა.

4.4. „დამფუძნებელ წევრთა" კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

- „ამხანაგობის" ძირითადი ორგანიზაციულ-ფინანსური საკითხების გადაწყვეტა;
- „ამხანაგობაში" წევრთა მიღება;

- გაუნაწილებელი (თავისუფალი) ფართების განაწილება;
- „ამხანაგობის" წევრთა შორის წილობრივი საკუთრების ურთიერთკავშირი და განსაზღვრა;

5. „ამხანაგობის" წევრთა საერთო კრება

5.1. „ამხანაგობის" წევრთა კრება არის „ამხანაგობის" მართვის ორგანო, რომელშიც შედიან, როგორც „დამფუძნებელი წევრები", ასევე „მფლობელობრივი წევრები".

5.2. „ამხანაგობის" წევრთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

5.2.1. „ამხანაგობის" წევრთა საერთო სარგებლობაში არსებული ფართების, სარგებლობის ფლობის და განკარგვის შესაბამისი წესების დადგენა;

5.2. „დამფუძნებელ წევრთა" კრებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც შედის „ დამფუძნებელ წევრთა" კრების კომპეტენციაში.

5.2.3. „ამხანაგობის" სხვა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც არ შედის „დამფუძნებელ წევრთა" კრების კომპეტენციაში;

6. „ამხანაგობის" თავმჯდომარე

6.1. „ამხანაგობის" მმართველ (აღმასრულებელ) ორგანოს წარმოადგენს ამხანაგობის თავმჯდომარე;

6.2. „ამხანაგობის" თავმჯდომარის ფუნქციებია:

- „ამხანაგობის" მიმდინარე საქმეების მართვა და ხელმძღვანელობა;
- მშენებლობის პროცესის ორგანიზაციულ-ფინანსური ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა;
- ურთიერთობის წარმართვა სამშენებლო კომპანიებთან მშენებლობის განხორციელებისათვის;
- „ამხანაგობის" საფინანსო საქმიანობის წარმართვაზე ზედამხედველობა;
- „ამხანაგობის" წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა „პროექტის" მიმდინარეობის შესახებ;
- „ამხანაგობის" ახალ წევრთა მიღების ორგანიზაცია;
- „ამხანაგობისათვის" წინადადებების მომზადება ახალი წევრის მიღებისა და შესაბამისი შენატანის და წილის განსაზღვრისათვის;
- სხვა საქმიანობა, რაც დაკავშირებულია „ამხანაგობის" ყოველდღიურ საქმიანობასთან;

6.3. „ამხანაგობის" თავმჯდომარეს გააჩნია „ამხანაგობის" წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, კერძოდ იგი უფლებამოსილია წევრიანდების „ამხანაგობა' ნებისმიერ შესაბამ პირებთან ურთიერთობაში,

მათ შორის, სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. „ამხანაგობის" სახელით დადებული გარიგების ნამდვილობისთვის საჭიროა, თავმჯდომარის ხელმოწერა.

6.4. ამ საკითხებთან მიმართებით, რაც განეკუთვნება „დამფუძნებელ წევრთა" კრების და წევრთა საერთო კრების კომპეტენციას, თავმჯდომარე საჭიროებს ამ ორგანოთა თანხმობას.

6.5. თავმჯდომარე ამხანაგობის სახელით ხსნის ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში და უფლებამოსილია მათ განკარგვაზე;

6.6. თავმჯდომარე ხელს აწერს ხელშეკრულებებს და დოკუმენტს „ამხანაგობის" სახელით, ამხანაგობის ამ თანამდებობის პირის ხელმოწერის გარეშე არცერთ დოკუმენტს ან გარიგებას არ გააჩნია იურიდიული ძალა.

7. ამხანაგობის ფინანსური საქმიანობა

7.1. ამხანაგობის ფინანსური საქმიანობა ხორციელდება საფინანსო სფეროში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

7.2. ამხანაგობის საფინანსო საქმიანობას ხელმძღვანელობს ამხანაგობის თანათავმჯდომარე.

8. „ამხანაგობის" წევრთა შორის წილის განსაზღვა

8.1. „ამხანაგობის" წევრთა ძირითად მიზანს წარმოადგენს დახურულებული შენობაში განსაზღვრული იღენობის საცხოვრებელი (და არასაცხოვრებელი) ფართის აშენება. შესაბამისად, „ამხანაგობის" წევრთა შორის წილთა გადანაწილება გამოისახება საკუთრებაში მისაღები საცხოვრებელი და/ან არასაცხოვრებელი ფართების მიხედვით.

8.2. „ამხანაგობაში" წილი, კერძოდ კი შენობის აშენების შემდგომ იდეალურ საკუთრებად განსაზღვრული საცხოვრებელი (ან არასაცხოვრებელი) ფართის იღენობა განისაზღვრება „დამფუძნებელ წევრთა" გადაწყვეტილებით, ამ ხელშეკრულებით დადგენილი ფორმითა და მექანიზმით.

8.3. „დამფუძნებელ წევრთა" კრება პერიოდულად ამტკიცებს ამხანაგობის წევრთა შორის, წილობრივი თანასაკუთრების ცხრილს (შემდგომში „ამხანაგობის თანასაკუთრების ცხრილა").

8.4. „ამხანაგობის თანასაკუთრების ცხრილში" განისაზღვრება:

ა) „ამხანაგობის" თითოეული წევრის წილი, იმ საცხოვრებელი და/ან არასაცხოვრებელი ფართების პირობითი იდენტიფიკაციით, რომელზედაც საკუთრების უფლებას მოიპოვებს შესაბამისი წევრი;

ბ) იდეალურ საკუთრებად განუსაზღვრელი საცხოვრებელი და/ან არასაცხოვრებელი ფართები;

8.5. „ამხანაგობის თანასაკუთრების ცხრილში" ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება „დამფუძნებელ წევრთა" კრების გადაწყვეტილებით,

რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით და რეგისტრირებული საქართველოს სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში.

9. ამხანაგობის წევრები და მათი ძირითადი უფლება-მოვალეობები

9.1. ნებისმიერი პირი, რომელიც გამოთქვამს სურვილს გახდეს ამხანაგობის წევრი, უნდა ადიარებდეს და ეთანხმებოდეს წინამდებარე „ამხანაგობის" ხელშეკრულების და მასში მითითებულ უფლება-მოვალეობებს.

9.2. „ამხანაგობის" წევრად გახდომის ფაქტით, ნებისმიერი ასეთი პირი ადასტურებს, რომ იგი ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და მას მიიხნევს სავალდებულოდ.

9.3 „დამფუძნებელ წევრთა" კრება განსაზღვრავს ყოველი წევრის შენატანის ოდენობასა და ფორმას, მისი განახორციელების გრაფიკის ჩათვლით.

9.6. „ამხანაგობის" ყოველი წევრი ვალდებულია შეთანხმებულ ვადაში და შეთანხმებული ოდენობით განახორციელოს დათქმული შენატანები ამხანაგობაში.

9.7. „ამხანაგობის" ითითოეული წევრი, საკუთარი ფართის განკარგვისას, ვალდებულია დაიცვას შენობის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი და არ მოიმოქმედოს არაფერი, რაც გამოიწვევს პროექტის დარღვევას. ეს განსაკუთრებით ეხება შენობის გარე ფასადს.

10. „ამხანაგობის" წევრთა პასუხისმგებლობა. „ამხანაგობის" წევრის გარიცხვა და წილის კომპენსაცია

10.1. „ამხანაგობის" წევრი შესაძლებელია გარიცხული იქნას ამხანაგობის წევრობიდან, თუ იგი არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს მის ვალდებულებას, შენატანის შეტანის თაობაზე.

10.2. „ამხანაგობის" წევრი შესაძლებელია გარიცხული იქნას ამხანაგობის რიგებიდან იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არ ემორჩილება და ხისტად/უგულებელყოფს წინამდებარე ხელშეკრულებას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი აყენებს ამხანაგობის დანარჩენ წევრებს.

10.3. შენატანის განუხორციელებლობას ან ვადის გადაცილების შემთხვევაში, ამხანაგობის თავმჯდომარე ამცარ წევრს განუსაზღვრავს დამატებით ვადას შენატანის განსახორციელებლად. თუ დათქმულ ვადაშიც შენატანი არ განხორციელდება თავმჯდომარე წინადადებით შეაქვს „დამფუძნებელ წევრთა" საერთო კრებაზე დამრღვევი პირის გარიცხვის შესახებ.

10.4. წევრის გარიცხვის შემთხვევაში, მას ჩამოერთმევა შესაბამისი წილი, რის თაობაზეც შეაქვს ცვლილება „ამხანაგობის წევრთა

თანახელმოწერების ტაბულაში, რომელიც წარედგინება ქ. თბილისის საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის.

10.5. წევრის გარიცხვის შესახებ გამოსათავისუფლებელი წილი შემდგომში განაკარგება საერთო წესით „დამფუძნებელ წევრთა" გადაწყვეტილებით.

10.6. „ამხანაგობიდან" გარიცხვისას, წევრს შეკან დაუბრუნდება მის მიერ შეტანილი გადახდილი თანხა, ამასთან, დახაბრუნებელ თანხას პირგასამტეხლოს სახით გამოაკლდება 10% (ათი პროცენტი) და ხანძარი და საჯარო რეგისტრაციისათვის საჭირო ხარჯები. თანხის შეკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც წევრის გარიცხვის შედეგად გამოსათავისუფლებელი წილი გაყიდული იქნება.

II. „ამხანაგობის" წევრის წილის განკარგვა

II.1. „ამხანაგობის" წევრები აცხადებენ, რომ ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია გაასხვისოს საკუთარი წილი ამხანაგობაში „დამფუძნებელ წევრთა" თანხმობით.

II.2. „ამხანაგობის" წევრის მიერ წილის გასხვისებისას „დამფუძნებელი წევრები" სარგებლობენ წილის შეძენის უპირატესი უფლებით.

II.3. წილის ახალი შემძენი გადადებულია დაეთანხმოს წინამდებარე ხელშეკრულების და მთლის მასში გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობები. წილის შემძენს გადადის ყველა ის ვალდებულება, რაც წილთან დაკავშირებით გააჩნდა წინა წევრს.

12. „ამხანაგობიდან" გასვლა

12.1. ნებისმიერ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს „ამხანაგობიდან", რაც არ გამოიწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.

12.2. „ამხანაგობიდან" გასვლის მსურველმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს თავმჯდომარეს. იგი მოცემულ საკითხს განსახილველად გადასცემს „დამფუძნებელ წევრთა" კრებას, რომელიც მთლებს ხაბჭოთი გადაწყვეტილებას წევრის „ამხანაგობიდან" გასვლის შესახებ. ამგვარი გადაწყვეტილება წევრის „ამხანაგობიდან" გასვლის შესახებ მიღებული უნდა იყოს განცხადების წარდგენიდან 45 დღის განმავლობაში.

12.3. წევრს გასვლის შემდეგ შეკან დაუბრუნდება მის მიერ შეტანილი შენატანები, იმ ხარჯების გამოკლებით, რაც აუცილებელია გასვლის რეგისტრაციისათვის. ამხანაგობა, უფლებამოსილია დააყოვნოს შეტანილი თანხის შეკან დაბრუნება, გასვლის შედეგად გამოთავისუფლებული ფართის შემდგომ განკარგვამდე.

13. ერთობლივი საქმიანობის ვადა

13.1. წინამდებარე ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყდება მას შემდეგ, რომელსაც: ა) დარღვევა შენობის მშენებლობა; ბ) იგი მიღებული იქნება ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით; გ) ქონება წვრილ ქ. თბილისის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იქნება, როგორც შესაბამისი უძრავი ქონების მესაკუთრე; დ) სრულად იქნება შესრულებული წევრების ფინანსური ვალდებულებები „ამხანაგობის" მიმართ.

13.2 ამ ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, წევრები განიხილებიან, როგორც ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა და კისრულობენ ვალდებულება კანონმდებლობის შესაბამისად.

14. დავის გადაწყვეტის წესი

ამ ხელშეკრულების მოქმედებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით და კონსენსუსის გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ფორსმაჟორი

ამ ხელშეკრულების ხელმოწერი მხარეები თავისუფლდებიან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებებისაგან თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია იმგვარი გარემოებებით, რომელთა გადაწყვეტა მათ ძალას აღემატება.

ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორულ გარემოებებს მიეკუთვნებიან:

- ხელისუფლების უბეღურებები: მიწისძვრა, წყალდიდობა, დამანგრეველი გრიგალი და სხვა;
- სახელმწიფო ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ან ადმინისტრაციული აქტის მიღება, რომლებიც შეუძლებელს ხდის „პროექტის" განხორციელებას;
- სახელმწიფოს მიერ, საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, საომარი მდგომარეობის გამოცხადება.

16. დასკვნითი დებულება

16.1. წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან და ექვემდებარება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.

16.2. ამ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის სახელმწიფო წესით დამოწმებისთანავე, ამასთან აღნიშნული ხელშეკრულება უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს, რეგისტრაციისათვის

16.3. მხარეთა შორის ყველა საკითხი წყდება ურთიერთშეთანხმებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

16.4. წინამდებარე აქტი შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნ. მინდიაშვილის სახელმწიფო ბაჟების არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა ხელმოწერები:

კახაბერ დაბაძე

თენგიზ დაბაძე

ლევან ჯმუხაძე

ზურაბ ჯაიანი

სანოტარო აქტი

რეესტრის ოქმის № 1-607

საჩუქრების

თრი ათას შვიდი წლის ჩვიდმეტ იანვარს, მე, ხარებს ვიქტორიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №29, მოქმარიები: ანანიაშვილ ლანაშ, ცოლად ლანა ჯიქიანის და ზურაბ ჯაიანმა. მათ წარმოადგინეს პრივატიზაციის საქმიანობის ამხანაგობა „ბაბუები, ვაჭრობის ბაზატიპირი №37“-ს სადამფუძნებლო ხელშეკრულება და მოითხოვეს მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: ანანიაშვილ ლანაშ (დაბ. 26.02.1973წ. პასპ. №1570562, პ. №01012004980, გაც. 21.05.2005წ. იუსტიციის სამინისტროს ორგ., მცხ. ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩის განაშენიანება №13) და ზურაბ ჯაიანმა (დაბ. 03.09.1946წ. პ/მ №№ 0377489, პ. №01012006769, გაც. 04.09.2003წ. ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის ორგ., მცხ. ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩის განაშენიანება №13) ლანა ჯიქიანის (დაბ. 12.11.1978წ. პ/მ №№ 0603139, პ. №01012002121, გაც. 13.01.2005წ. ქ. თბილისის, მთაწმინდის რაიონის სამსახურის მიერ, მცხ. ქ. თბილისი, ქ. ხოშტარიას №25) და ზურაბ ჯაიანმა (დაბ. 14.10.1954წ. პ/მ №№ 0010232, პ. №01001000882, გაც. 24.03.1995წ. ბათუმის ქ. გან მიერ, მცხ. ბათუმის 26 მაისის ქ. 53, ბინა 7) მოქმარეთა. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვიდანტურება, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. წინამდებარე ვრთობლივი საქმიანობის სადამფუძნებლო ხელშეკრულება შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

მე დამფუძნებლების წარმოდგენილი ვრთობლივი საქმიანობის ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულება და განვმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; მათ განაცხადეს, რომ სადამფუძნებლო ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი ვრთობლივი საქმიანობის პრივატიზაციის საქმიანობის ამხანაგობას „ბაბუები, ვაჭრობის ბაზატიპირი №37“-ს წინამდებარე სადამფუძნებლო ხელშეკრულებას.

მხარეთა შორის ადგილი ჰქონდა წინარე ურთიერთშეთანხმებას, შეთანხმების არსებობის შესახებ ცნობას და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობას.

წინამდებარე აქტი შედგენილია ხუთ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნ. ხარებაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში. ხელის დანაწერი ტექსტები გადაეკეთა მხარეებს.

გადახდილია სანოტარო მოქმედების ჩამოყალიბების ხარჯები 2012,50 /ორი ათას თორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი/, თანახმად სანოტარო მოქმედებათა ჩამოყალიბების ტარიფის საქართველოს კანონის (II ნაწილი, 1998წ. №1417 II ს) 22-ე მუხლისა. აგრეთვე დღგ (362,25) ხარის სანოტარო ლარი და ოცდაცამეტი თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლისა. სულ 2374,75 ლარი.

ნ. ხარებაშვილი